მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით

სატენდერო კომისიის სხდომის **ოქმი N1**

ქ. მარნეული **30.06.2022 წელი**

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე:

კენან ომაროვი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის წევრები:

როინი დეკანოიძე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
თემური შუბითიძე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.
ვუგარ მამედოვი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
ილია ყალაბეგაშვილი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამს. პირველადი სტრუქტ. ერთ. ხელმძღვანელი;
ბექა აბდელანი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
მამუკა შუბითიძე	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების მართვის გან-ის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;
დავით ხარშილაძე	ქონების მართვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.
მალხაზი სამაშვილი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

აპარატის წევრი:

სოფიკო გუგუნაშვილი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი.

დღის წესრიგი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის შესახებ განცხადების ტექსტისა და სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცება.

მსვლელობა:

სატენდერო კომისიამ განიხილა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოს სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტი და სატენდერო დოკუმენტაცია, რა დროსაც აღინიშნა, რომ აღნიშნული ტენდერი უკვე იყო რამდენჯერმე გამოცხადებული, რომლებიც რიგ შემთხვევებში დასრულდა უარყოფითი შედეგით, რიგ შემთხვევებში კი არ შედგა, მათ შორის უკანასკნელი **NAT220007040** ტენდერიც არ შედგა, რისთვისაც მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიიის ურბანული განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის - პირველადი სტრუქტურული ერთეულის N03-322216054 (09/06/2022) მოხსერნებითი ბარათით წარმოდგენილ იქნა საპროექტო ორგანიზაციის მიერ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაითალოში სასმელი წყლის შიდა ქსელის მოწყობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც შედგენილია 2022 წლის მეორე კვარტლის დონეზე არსებული საბაზისო ნორმების / მიმდინარე ფასებით, შესაბამისად სატენდერო კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია ტენდერი გამოცხადდეს თავიდან შემდეგი პირობებით:

- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება – **397 788 ლარი** (დღგ-ს გათვალისწინებით);
- სამუშაოების შესრულების ვადა – ხელშეკრულების გაფორმებიდან 180 კალენდარული დღე;
- შესრულებული სამუშაოს ხარისხის საგარანტიო ვადა – საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 წელი;
- პრეტენდენტის გამოცდილება - 2019 წლის პირველი იანვრიდან მოცემული ტენდერის გამოცხადების დღემდე, პრეტენდენტის მიერ ფაქტობრივად შესრულებული ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოების (სასმელი წყლის ქსელის მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები ან/და სათავე ნაგებობების (რეზერვუარის) მოწყობა ან/და ჭაბურღილების მოწყობა ან/და მაგისტრალური წყალსადენის სამშენებლო აღდგენითი სამუშაოები) ღირებულებების ჯამი უნდა იყოს არანაკლებ 1 193 366.43 ლარისა;

პრეტენდენტს, 2019 წლის პირველი იანვრიდან მოცემული ტენდერის გამოცხადების დღემდე, ერთი შესრულებული ხელშეკრულების ფარგლებში დასრულებული უნდა ჰქონდეს ანალოგიური ტიპის, ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოები, ღირებულებით არანაკლებ წინამდებარე ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 50%-ის ოდენობისა;

- პერსონალის გამოცდილება - შესაბამის სფეროში (წყალმომარაგება) საინჟინრო განათლების მქონე მინიმუმ - 1 სპეციალისტი, სპეციალობით მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილებით;
- დაფინანსების წყარო - 100 % - ადგილობრივი თვითმართველი ერთეულის ბიუჯეტი;
- „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ელექტრონული ტენდერი გამოცხადდეს/ჩატარდეს ელექტრონული ვაჭრობის დაფარული მონაცემებით, დამატებითი რაუნდების გარეშე, აბრევიატურით **NAT.**

სატენდერო მოთხოვნების ჩამოყალიბებისას გათვალისწინებული იქნა შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური შესყიდვების გამოცდილება, ასევე სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციების ანალიზი ადასტურებს, რომ ბაზარზე ოპერირებს მიმწოდებელთა საკმარისი რაოდენობა, რომელთაც აქვთ შესაძლებლობა, ტენდერში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში დააკმაყოფილონ სატენდერო დოკუმენტაციით დაწესებული მოთხოვნები.

კომისიამ იხელმძღვანელა, რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით და „ელექტრონული ტენდერის წესის დამტკიცების შესახებ" ბრძანებით, დაადგინა:

1. დამტკიცდეს სატენდერო დოკუმენტაცია, (სატენდერო დოკუმენტაცია, საპროექტო დოკუმენტაცია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი) და განცხადების ტექსტი თანდართული დოკუმენტაციით და თანხმობის მიღების მიზნით გაიგზავნოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში;
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს თანხმობის მიღების შემდეგ სატენდერო განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემაში განთავსება.

კომისიის თავმჯდომარე

კენან ომაროვი

კომისიის წევრები

როინი დეკანოიძე

თემური შუბითიძე

ვუგარ მამედოვი

ბექა აბდელანი

მამუკა შუბითიძე

ილია ყალაბეგაშვილი

მალხაზი სამაშვილი

დავით ხარშილაძე

აპარატის წევრი

სოფიკო გუგუნაშვილი

MARNEULI MUNICIPALITY

Подписано цифровой подписью: MARNEULI MUNICIPALITY
Дата: 2022.07.08 17:27:17 +04'00'